საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაშლობი

ვაშლობი, სოფელი ისტორიულ ქვემო ჯავახეთში, მტკვრის ხეობაში. XVI ს-ში, ოსმალთა ბატონობისას, ეს სოფელი შედიოდა ახალქალაქის ლივის თმოგვის ნაჰიეში. მაშინ იქ 22 კომლი ცხოვრობდა, სახელების მიხედვით – ყველა ქართველი: რევაზა ზოზასძე, ვარძელ ბადრიასძე, თევდორე ბასილასძე, ზაქარა დემეტრესძე, სიმონ ივანესძე, ვარძელ მანასესძე და სხვ. მათ მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, სელი, ჰქონდათ ბოსტნები, ჰყავდათ ცხვარი, ღორი, ფუტკარი; წლიური გამოსაღები შეადგენდა 15500 ახჩას. 1703–04 ეს სოფელი ვინმე ალის ექვემდებარებოდა და წლიური გამოსაღები 15300 ახჩა იყო.

წყარო: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას *გამოც.*, წგ. 2–3, თბ., 1941–58; ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, ც. აბულაძის და მ. სვანიძის *გამოც.*, თბ., 1979.

დ. ბერძენიშვილი